წერილის ნომერი: **60-01191612959**
თარიღი: **10/06/2019**
პინი: **9137**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სამსახურმა განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილებიდან გადმოგზავნილი თქვენი 2019 წლის 3 ივნისის N 6/32983 (#10-01191551648 04.06.2019წ. სამსახურში რეგისტრირებული: #12-01191551834-60 04.06.2019წ.) წერილი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე (ნაკვეთი 65/061), 14 591 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.065.061) საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის ასლებს.

პასუხად გაცნობებთ, რომ ა.ა.ი.პ. ,,თბილისის განვითარების ფონდ"–ის 2012 წლის 13 ნოემბრის N AR192333 ელექტრონული განაცხადის საფუძველზე, 2012 წლის 16 ნოემბრის №436802 ბრძანებით სამსახურმა დაადგინა, რომ ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე, ნაკვ. 65/048 მუსიკალური თეატრის – საკონცერტო და საგამოფენო დარბაზის სამუშაოები განხორციელებულია წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად.

2013 წლის 18 მარტის №594719 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე (ნაკვ. 65/048) პარკში ტელესკოპის განთავსების შესაძლებლობა.

2013 წლის 28 ნოემბრის №1008226 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), რიყის ტერიტორიაზე (ნაკვეთი 65/048) (ს/კ 01.17.01.065.056) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საინფორმაციო ეკრანის მოწყობის შესაძლებლობა.

2013 წლის 10 დეკემბრის №1033533 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), რიყის ტერიტოიაზე, ნაკვ. N65/048 (ს/კ 01.17.01.065.056) საინფორმაციო სახის მაჩვენებელი ნიშნის განთავსების სამუშოების განხორციელების შესაძლებლობა.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით ზემოაღნიშნული აქტების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.

დანართი: 68 ფურცელი.

თეა უგულავა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-საქმისწარმოების განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი